

სსბასს 3—სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო
შეფასებებში და შეცდომები

გამომცემლისაგან

წინამდებარე საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (სსბასს), ძირითადად ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ 8-ს (ბასს 8) - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორებულ იქნა 2003 წელს). ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) ფონდის ნებართვით, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (სსბასსს) წინამდებარე გამოცემაში გამოყენებულია ამონარიდები ბასს 8-დან.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს ბასსს-ის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული ტექსტი, რომლის ასლები შესაძლებელია მოპოვებულ იქნეს უშუალოდ ფასს-ის საგამომცემლო დეპარტამენტში შემდეგ მისამართზე: First Floor, 30 Cannon Street, London EC4M 6XH, United Kingdom.

ელ.ფოსტა: publications@ifrs.org

ვებ-გვერდი: www.ifrs.org

ფასს-ები, ბასს-ები, განსახილველი პროექტები და ბასსს-ის სხვა გამოცემები დაცულია ფასს-ის ფონდის საავტორო უფლებით.

“IFRS,” “IAS,” “IASB,” “IFRS Foundation,” “International Accounting Standards,” და “International Financial Reporting Standards” ფასს-ების ფონდის სავაჭრო ნიშნებია და არ უნდა იქნეს გამოყენებული, ფასს-ების ფონდის თანხმობის გარეშე.

სსბასს 3—სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები

სსბასს-ის ისტორია

წინამდებარე ვერსია მოიცავს 2018 წლის 31 იანვრამდე გამოცემული სსბასს-ებით გამოწვეულ ცვლილებებს.

სსბასს 3 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები - გამოიცა 2000 წლის მაისში.

2006 წლის დეკემბერში სსბასსს-მ გამოსცა შესწორებული სსბასს 3.

მოგვიანებით, სსბასს 3-ში ცვლილებები შევიდა შემდეგი სსბასს-ების შესაბამისად:

- 2011 წლის სსბასს-ების გაუმჯობესება (2011 წლის ოქტომბრის გამოცემა);
- სსბასს-ების გაუმჯობესება (2010 წლის იანვრის გამოცემა);
- სსბასს 31 - არამატერიალური აქტივები - (2010 წლის იანვრის გამოცემა);
- სსბასს-ების გაუმჯობესება (2010 წლის ნოემბრის გამოცემა).

სსბასს 3-ში შეცვლილი პუნქტების ცხრილი

შეცვლილი პუნქტი	ცვლილების შედეგი	ცვლილების საფუძველი
შესავალი ნაწილი	ამოღებულია	სსბასს-ების გაუმჯობესება 2011 წლის ოქტომბერი
შნ11-ის ზემოთ სათაური	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება 2010 წლის ნოემბერი
5	ამოღებულია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
6	ამოღებულია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
7	ამოღებულია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2016 წლის აპრილი
9	შეცვლილია	სსბასს-ების

შეცვლილი პუნქტი	ცვლილების შედეგი	ცვლილების საფუძველი
		გაუმჯობესება, 2016 წლის აპრილი
10	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2010 წლის იანვარი სსბასს-ების გაუმჯობესება, 2016 წლის აპრილი
11	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2010 წლის იანვარი
12	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2016 წლის აპრილი
13	ამოღებულია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2016 წლის აპრილი
14		სსბასს-ების გაუმჯობესება, 2010 წლის იანვარი სსბასს-ების გაუმჯობესება, 2016 წლის აპრილი
15	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2016 წლის აპრილი
17	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2016 წლის აპრილი
22	შეცვლილია	სსბასს 31, 2010 წლის იანვარი
34	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2016 წლის აპრილი

შეცვლილი პუნქტი	ცვლილების შედეგი	ცვლილების საფუძველი
59ა	დამატებულია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2010 წლის იანვარი
59ბ	დამატებულია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი
59გ	დამატებულია	სსბასს-ების გაუმჯობესება 2016 წლის აპრილი
59დ	დამატებულია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
60	შეცვლილია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი

სსბასს 3—სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო
შეფასებებში და შეცდომები

შინაარსი

	პუნქტი
მიზანი.....	1–2
მოქმედების სფერო	3–6
განმარტებები	7–8
არსებითობა	8
სააღრიცხვო პოლიტიკა	9–36
სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა და გამოყენება	9–15
სააღრიცხვო პოლიტიკის უცვლელობა	16
ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში	17–36
ცვლილებების შეტანა სააღრიცხვო პოლიტიკაში ...	24–32
რეტროსპექტული გამოყენება	27
რეტროსპექტულ გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვები	28–32
განმარტებითი შენიშვნები	33–36
ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში	37–45
განმარტებითი შენიშვნები	44–45
შეცდომები	46–54
რეტროსპექტულ გადაანგარიშებასთან დაკავშირებული შეზღუდვები	48–53
წინა საანგარიშგებო პერიოდის შეცდომების განმარტებით შენიშვნებში ასახვა	54
რეტროსპექტული გამოყენებისა და რეტროსპექტული გადაანგარიშების შეუძლებლობა	55–58
ძალაში შესვლის თარიღი	59–60
სსბასს 3-ის (2000) გაუქმება.....	61
დანართი: სხვა სსბასს-ების შესწორებები	
დასკვნის საფუძველი	

მითითებები დანერგვაზე

ბასს 8-სთან შედარება

საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 3 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები - ჩამოყალიბებულია 1-61 პუნქტებში. ყველა პუნქტს თანაბარი ძალა აქვს. სსბასს 3 აღქმულ უნდა იქნეს მისი მიზნის, დასკვნის საფუძვლის, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების წინასიტყვაობისა და საჯარო სექტორის ერთეულებისთვის ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების კონტექსტში. სსბასს 3 იძლევა სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევისა და გამოყენების საფუძველს, დეტალური მითითებების არარსებობის შემთხვევაში.

მიზანი

1. წინამდებარე სტანდარტი განსაზღვრავს სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევისა და მისი შეცვლის კრიტერიუმებს იმ კრიტერიუმებთან ერთად, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს: (ა) სააღრიცხვო პოლიტიკის ფარგლებში სააღრიცხვო მიდგომებისა და ცვლილებების შესახებ განმარტებითი შენიშვნების, (ბ) სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისა და გ) შეცდომების გასწორების დროს. სტანდარტი მიზნად ისახავს ერთეულის ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობისა და საიმედოობის და გარკვეული დროის განმავლობაში, ამ ფინანსური ანგარიშგებების სხვა ერთეულების ფინანსურ ანგარიშგებებთან შესადარისობის გაუმჯობესებას.
2. სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებთან დაკავშირებული მოთხოვნებისა, განსაზღვრულია ბასს 1-ში - *ფინანსური ანგარიშგების წარდგენა*.

მოქმედების სფერო

3. წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევისა და გამოყენების, სააღრიცხვო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებების ასახვისა და წინა პერიოდის შეცდომების გასწორებისათვის.
4. წინამდებარე სტანდარტი არ მოიცავს წინა პერიოდის შეცდომების გასწორებისა და სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული რეტროსპექტული კორექტირებების დაბეგვრის შედეგებს, რადგან აღნიშნული არარელევანტურია საჯარო სექტორის მრავალი ერთეულისათვის. დაბეგვრის შედეგებთან დაკავშირებული დებულებები გაწერილია მოგების გადასახადთან დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო თუ ეროვნულ სტანდარტებში.
5. [ამოღებულია]
6. [ამოღებულია]

განმარტებები

7. წინამდებარე სტანდარტში მოცემული ტერმინები გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობით:
სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოადგენს ერთეულის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს გამოყენებული გარკვეული პრინციპების, საფუძვლების,

დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობას.

სააღრიცხვო შეფასების ცვლილება არის აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულებაში შესწორება, ან აქტივის პერიოდული გამოყენების თანხა, რომელიც გამომდინარეობს აქტივების ან ვალდებულებების მიმდინარე სტატუსიდან, ან მათთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლისა და ვალდებულებების შეფასებიდან. სააღრიცხვო შეფასების ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია ახალი ინფორმაციით ან ახალი მოვლენებით, შესაბამისად, არ წარმოადგენს შეცდომების გასწორებას.

შეუძლებელი მოთხოვნის შესრულება შეუძლებლად მიიჩნევა მაშინ, როდესაც ერთეულს არ შეუძლია მისი დაკმაყოფილება ყველა გონივრული მცდელობის მიუხედავად. კერძოდ, წინა პერიოდისათვის შეუძლებელია სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილების რეტროსპექტული გამოყენება ან შეცდომის გასასწორებლად რეტროსპექტული გადაანგარიშება, თუ:

- (ა) რეტროსპექტული გამოყენების ან რეტროსპექტული გადაანგარიშების შედეგები ვერ განისაზღვრება;
- (ბ) რეტროსპექტული გამოყენება ან რეტროსპექტული გადაანგარიშება საჭიროებს იმის დაშვებას, თუ რა განზრახვა ამოძრავებდა ამ პერიოდში ხელმძღვანელობას; ან
- (გ) რეტროსპექტული გამოყენება ან რეტროსპექტული გადაანგარიშება საჭიროებს თანხების ძირეულ შეფასებებს და შეუძლებელია აღნიშნული შეფასებების შესახებ არსებული სხვა ინფორმაციიდან ობიექტურად განვსაზღვროთ ის ინფორმაცია, რომელიც:
 - (i) იძლევა იმ გარემოებათა შესახებ მტკიცებულებას, რომლებიც არსებობდა იმ თარიღ(ებ)ისათვის, როცა უნდა მომხდარიყო ამ თანხების აღიარება, შეფასება ან განმარტებით შენიშვნებში ასახვა; და
 - (ii) ხელმისაწვდომი იქნებოდა მაშინ, როდესაც შესაძლებელი იქნებოდა მოცემული წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების საჯაროდ გამოქვეყნება.

სხვა ინფორმაციიდან.

წინა პერიოდის შეცდომები არის ერთეულის ფინანსურ ანგარიშგებებში დაშვებული გამოტოვებები ან უზუსტობები, წარმოქმნილი ერთი ან რამდენიმე პერიოდის წინ, იმის გამო, რომ ვერ იქნა ან არასწორად იქნა გამოყენებული საიმედო ინფორმაცია, რომელიც:

- (ა) ხელმისაწვდომი იყო შესაბამისი პერიოდების ფინანსური ანგარიშგებების საჯარო გამოქვეყნების დაშვების მომენტში; და
- (ბ) მართლზომიერად მოსალოდნელი იყო, რომ მოძიებული და გათვალისწინებული იქნებოდა ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენის დროს.

ამგვარი შეცდომები მოიცავს მათემატიკური შეცდომების შედეგებს, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში დაშვებულ შეცდომებს, ფაქტების გამორჩენის ან არასწორი ინტერპრეტაციისა და თაღლითობის შემთხვევებს.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების პერსპექტიული გამოყენება და სააღრიცხვო შეფასებაში შეტანილი ცვლილების შედეგის აღიარება, შესაბამისად, ნიშნავს:

- (ა) ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებას, სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის თარიღის შემდეგ განხორციელებული ოპერაციების, მომხდარი სხვა მოვლენებისა და პირობების მიმართ; და
- (ბ) სააღრიცხვო შეფასების ცვლილების შედეგის აღიარებას მიმდინარე და მომავალ პერიოდებში, რომლებსაც ამ ცვლილების შედეგები შეეხება;

რეტროსპექტიული გამოყენება არის ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების მიმართ ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის იმგვარი გამოყენება, თითქოს ეს პოლიტიკა ყოველთვის გამოიყენებოდა.

რეტროსპექტიული გადაანგარიშება არის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების თანხების აღიარების, შეფასებისა და განმარტებითი შენიშვნების იმგვარად შესწორება, თითქოს წინა პერიოდის შეცდომები არც დაშვებულა.

სხვა სხვას-ებში განსაზღვრული ტერმინები წინამდებარე სტანდარტში იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, როგორც მოცემულია სხვა სტანდარტებში და ცალკე გამოქვეყნებულ ტერმინთა განმარტებების გლოსარში.

არსებითობა

8. იმის შეფასება, შეიძლება თუ არა, რომ გამოტოვებამ ან უზუსტობამ გავლენა მოახდინოს ინფორმაციის მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, ანუ, არსებითა თუ არა იგი, მოითხოვს ინფორმაციის ამ მომხმარებლების მახასიათებლების გათვალისწინებას. იგულისხმება, რომ მომხმარებლები სათანადოდ იცნობენ საჯარო სექტორს და ერკვევიან ეკონომიკურ საქმიანობასა და ბუღალტრულ აღრიცხვაში და ასევე სურვილი აქვთ, გულმოდგინედ შეისწავლონ ინფორმაცია. აქედან გამომდინარე, შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ ცოდნისა და მახასიათებლების მქონე მომხმარებლები, სავარაუდოდ, რა ზეგავლენის ქვეშ მოექცევიან გადაწყვეტილებების მიღებისა და შეფასების დროს.

სააღრიცხვო პოლიტიკა

სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა და გამოყენება

9. როდესაც სსბასს კონკრეტულად ეხება რომელიმე ოპერაციას, სხვა მოვლენას ან გარემოებას, ერთეულის სააღრიცხვო პოლიტიკ(ებ)ი უნდა განისაზღვროს ამ სტანდარტის გამოყენებით.
10. სსბასს-ში განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც სსბასსს-მა მიიღო, ასახვას პოულობს ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც შეიცავს შესაბამისსა და საიმედო ინფორმაციას იმ ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების შესახებ, რომლებისთვისაც იგი გამოიყენება. ეს პოლიტიკა არ უნდა იქნეს გამოყენებული მაშინ, როდესაც მისი გამოყენების შედეგები არაარსებითია. ამავდროულად, მიზანშეწონილი არ არის განხორციელდეს, ან შეუცვლელად დარჩეს სსბასსს-ების არაარსებითი გადახვევები ერთეულის ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის ფინანსური შედეგების ან ფულადი ნაკადების წარდგენისას.
11. ერთეულების მიერ სსბასსს-ების მოთხოვნების გამოყენებაში მხარდაჭერისათვის სსბასსს-ებს თან ერთვის დანერგვის სახელმძღვანელო მითითებები. ყველა ამგვარ მითითებაში განსაზღვრულია, წარმოადგენს თუ არა იგი სსბასსს-ების განუყოფელ ნაწილს. ის მითითებები, რომლებიც სსბასსს-ების განუყოფელი ნაწილია, სავალდებულოა. მითითებები დანერგვაზე, რომლებიც არ წარმოადგენს სსბასსს-ების განუყოფელ ნაწილს, არ შეიცავს ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.
12. კონკრეტული ოპერაციის, სხვა მოვლენის ან მდგომარეობისათვის, გამოსაყენებელი სსბასსს-ის არაარსებობის

შემთხვევაში, ხელმძღვანელობამ უნდა იმსჯელოს, რათა შეიმუშაოს და გამოიყენოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზე მიიღება ინფორმაცია, რომელიც შეესაბამება მომხმარებლების ანგარიშვალდებულებასა და გადაწყვეტილების მიღების საჭიროებებს, სამართლიანად ასახავს ერთეულის ფინანსურ მდგომარეობას, ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების ნაკადებს, აკმაყოფილებს აღქმადობის, დროულობის, შესადარისობის და საიმედოობის ხარისხობრივ მახასიათებლებს და ითვალისწინებს ზოგადი დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ ინფორმაციაზე შეზღუდვებს და ხარისხობრივ მახასიათებლებს შორის ბალანსს.

13. [ამოღებულია]

14. მე-12 პუნქტში განსაზღვრული მსჯელობის დროს, ხელმძღვანელობამ იერარქიულად უნდა მიმართოს და გაითვალისწინოს შემდეგი წყაროების გამოყენების შესაძლებლობა:

(ა) სსბასს-ების მოთხოვნები, მსგავს და მონათესავე საკითხებთან დაკავშირებით; და

(ბ) *საჯარო სექტორის ერთეულების ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშებისთვის კონცეპტუალურ საფუძველებში* აღწერილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებები, აღიარების და შეფასების კრიტერიუმები.

15. მე-12 პუნქტში განსაზღვრული მსჯელობის დროს, ხელმძღვანელობას ასევე შეუძლია გაითვალისწინოს: (ა) სტანდარტების დამდგენი სხვა უწყების უკანასკნელი ოფიციალური გამოცემები და (ბ) საჯარო და კერძო სექტორის მიღებული პრაქტიკა იმ პირობით, რომ ზემოაღნიშნული არ ეწინააღმდეგება მე-14 პუნქტში განსაზღვრულ წყაროებს. ამგვარი ოფიციალური დოკუმენტების მაგალითებს წარმოადგენს ბასსს-ის ოფიციალური დებულებები, ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენის ჩარჩოს ჩათვლით, ფასს-ები და ბასსს-ის ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (ფაისკ) ან ყოფილი ინტერპრეტაციების მუდმივმოქმედი კომიტეტის (იმკ) ოფიციალური დებულებები.

სააღრიცხვო პოლიტიკის უცვლელობა

16. ერთეულმა უნდა აირჩიოს სააღრიცხვო პოლიტიკა და უცვლელად გამოიყენოს მსგავსი ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სსბასს-ები სპეციალურად მოითხოვს ან ნებას რთავს ელემენტების

კატეგორიზაციას, რომელთა მიმართაც შეიძლება მისაღები იყოს სხვადასხვა პოლიტიკა. თუ სსზასს სპეციალურად მოითხოვს ან ნებას რთავს ელემენტების ამგვარ კატეგორიზაციას, ყოველი კატეგორიისათვის უნდა შეირჩეს და უცვლელად იქნეს გამოყენებული შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

17. ერთეულს სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ცვლილებას:
 - (ა) მოითხოვს სსზასს-ი; ან
 - (ბ) შედეგად მოჰყვება ისეთი ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც უფრო საიმედო და შესაბამისი ინფორმაცია იქნება წარდგენილი ერთეულის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე ზეგავლენის მქონე ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების შესახებ.
18. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს სჭირდებათ ერთეულის სხვადასხვა პერიოდის ფინანსური ანგარიშგებების შედარება, რათა განსაზღვრონ ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური შედეგებისა და ფულადი სახსრების ნაკადების ცვლილებების ტენდენციები. აქედან გამომდინარე, ყველა პერიოდში ერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა გამოიყენებოდეს, გარდა ამ შემთხვევებისა, როდესაც სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება შეესაბამება მე-17 პუნქტში განსაზღვრულ რომელიმე კრიტერიუმს..
19. ბუღალტრული აღრიცხვის ერთი საფუძვლიდან მეორე საფუძველზე გადასვლა არის ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლის ცვლილება.
20. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლის ფარგლებში სააღრიცხვო მეთოდის, აღიარების, ან ოპერაციის, მოვლენის ან პირობის შეფასების ცვლილება ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლის ცვლილებად მიიჩნევა.
21. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას არ წარმოადგენს:
 - (ა) ახალი ფინანსური პოლიტიკის გამოყენება ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობებისათვის, რომელთა ეკონომიკური შინაარსი განსხვავებულია მანამდე მომხდარი ანალოგიური მოქმედებისაგან;
 - (ბ) ახალი ფინანსური პოლიტიკის გამოყენება ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობებისათვის, რომლებიც აქამდე არ მომხდარა ან არაარსებითი იყო.

22. აქტივების გადაფასების პოლიტიკის თავდაპირველი გამოყენება სსბასს 17-ის, ძირითადი აქტივები, ან სსბასს 31-ის, არამატერიალური აქტივები, შესაბამისად განიხილება, როგორც სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება, რაც უნდა აღირიცხოს სსბასს 17--სა და სსბასს 31-ის და არა წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად.
23. 24-36-ე პუნქტები არ შეეხება 22- მუხლში განსაზღვრულ სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას.

ცვლილებების შეტანა სააღრიცხვო პოლიტიკაში

24. 28-ე პუნქტის შესაბამისად:
- (ა) სსბასს-ის თავდაპირველი დანერგვით გამოწვეული სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება ერთეულმა უნდა აღირიცხოს შესაბამისი სტანდარტის გარდამავალი დებულებების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში; და
 - (ბ) როდესაც ერთეული ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკას სსბასს-ის თავდაპირველი დანერგვით, რომელიც არ შეიცავს ამ ცვლილებასთან დაკავშირებულ შესაბამის გარდამავალ დებულებებს ან ნებაყოფლობით ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკას, ერთეულმა რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება.
25. ამ სტანდარტის მიზნებისათვის, სტანდარტის ვადაზე ადრე გამოყენების დაწყება არ წარმოადგენს სააღრიცხვო პოლიტიკის ნებაყოფლობით ცვლილებას.
26. იმ შემთხვევაში, როდესაც ოპერაციაზე, სხვა მოვლენაზე ან პირობაზე არ ვრცელდება რომელიმე კონკრეტული სსბასს, მე-14 პუნქტის შესაბამისად ხელმძღვანელობას შეუძლია გამოიყენოს სააღრიცხვო პოლიტიკა: (ა) სტანდარტების დამდგენი სხვა უწყების უკანასკნელი ოფიციალური გამოცემები და (ბ) საჯარო და კერძო სექტორის მიღებული პრაქტიკა იმ პირობით, რამდენადაც ეს შეესაბამება მე-14 პუნქტის მოთხოვნებს. ამგვარი ოფიციალური დოკუმენტების მაგალითებია ბასსს-ის ოფიციალური დებულება, ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენის ჩარჩოს ჩათვლით, ფასს-ები და ბასსს-ის ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (ფაისკ) ან ყოფილი ინტერპრეტაციების მუდმივმოქმედი კომიტეტის (იმკ) ოფიციალური გამოცემები იმ შემთხვევაში, თუ ამ ოფიციალური გამოცემების ცვლილების შედეგად ერთეული გადაწყვეტს, შეცვალოს სააღრიცხვო პოლიტიკა, ეს ცვლილება განიხილება სააღრიცხვო პოლიტიკის ნებაყოფლობით ცვლილებად.

რეტროსპექტული გამოყენება

27. 28-ე პუნქტის შესაბამისად, როდესაც სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები რეტროსპექტულად გამოიყენება, 24-ე პუნქტის (ა) ან (ბ) ქვეპუნქტების შესაბამისად, ერთეულმა უნდა მოახდინოს წარდგენილ საანგარიშგებო პერიოდთაგან ყველაზე ადრინდელის წმინდა აქტივების/კაპიტალის ამ ცვლილებების გავლენას დაქვემდებარებული ყველა კომპონენტის საწყისი ნაშთებისა და ასევე, თითოეული წინა პერიოდის შესაბამისი სხვა შესადარისი თანხების კორექტირება იმგვარად, თითქოს მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა ყოველთვის გამოიყენებოდა.

რეტროსპექტულ გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვები

28. როდესაც 24-ე პუნქტის (ა) და (ბ) ქვეპუნქტები განსაზღვრავს რეტროსპექტულ გამოყენებას, მაშინ სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება უნდა გამოიყენებოდეს რეტროსპექტულად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შეუძლებელია კონკრეტულ პერიოდზე მისაკუთვნიებული გავლენის ან ცვლილების კუმულაციური შედეგის განსაზღვრა.
29. როდესაც შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რა გავლენას ახდენს წარდგენილი წინა ერთი ან რამდენიმე პერიოდის შესადარის ინფორმაციაზე, კონკრეტულ პერიოდზე მისაკუთვნიებული სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების შედეგი, ერთეულმა ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა გამოიყენოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებისათვის, წარდგენილ საანგარიშგებო პერიოდებიდან ყველაზე ადრინდელის დასაწყისისათვის, როცა ცვლილების გაკეთება რეტროსპექტულად შესაძლებელია, რაც შეიძლება მიმდინარე პერიოდიც იყოს. ამასთან, შესაბამისი შესწორებები უნდა განხორციელდეს მოცემული პერიოდის წმინდა აქტივების/კაპიტალის გავლენას დაქვემდებარებული ყველა კომპონენტის საწყის ნაშთში.
30. როდესაც მიმდინარე პერიოდის დასაწყისში შეუძლებელია განისაზღვროს ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების აგრეგირებული ეფექტი ყველა წინა პერიოდზე, ერთეულმა უნდა შეცვალოს შესადარისი ინფორმაცია წარდგენილ საანგარიშგებო პერიოდთაგან შესაძლო ყველაზე ადრინდელიდან მოყოლებული.
31. როდესაც ერთეული ახალ სააღრიცხვო პოლიტიკას რეტროსპექტულად იყენებს, იგი გამოიყენებს ახალ სააღრიცხვო პოლიტიკას შესადარისი ინფორმაციის მიმართ, წარსულში წარდგენილ საანგარიშგებო პერიოდთაგან შესაძლო ყველაზე ადრინდელიდან მოყოლებული. ახალი სააღრიცხვო

პოლიტიკის რეტროსპექტული გამოყენება გასული პერიოდისათვის მაშინ არის შეუძლებელი, თუ შეუძლებელია ამ პერიოდის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების საწყის და საბოლოო ნაშთებზე სააღრიცხვო პოლიტიკის კუმულაციური ეფექტის განსაზღვრა. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ პერიოდებამდე არსებულ პერიოდებთან დაკავშირებული შესწორების თანხით კორექტირდება წმინდა აქტივების/კაპიტალის გავლენას დაქვემდებარებული ყველა კომპონენტის წარდგენილ საანგარიშგებო პერიოდთან ყველაზე ადრინდელის საწყისი ნაშთი. როგორც წესი, კორექტირება შეეხება დაგროვილ ნამეტსა და დეფიციტს. ამავე დროს, კორექტირება შეიძლება შეეხოს წმინდა აქტივების/კაპიტალის სხვა კომპონენტსაც (მაგალითად, სსბასს-თან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით). ნებისმიერი სხვა ინფორმაცია წინა პერიოდების შესახებ, როგორცაა, მაგალითად, წარსული ფინანსური მონაცემების რეზიუმე, ასევე უნდა შეიცვალოს, შეძლებისდაგვარად, ადრინდელი პერიოდიდან.

32. როდესაც ერთეულისათვის შეუძლებელია ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტული გამოყენება, რადგან იგი ვერ დაადგენს პოლიტიკის გამოყენების აგრეგირებულ ეფექტს ყველა წინა პერიოდისათვის, მაშინ ერთეული, 30-ე პუნქტის შესაბამისად, ახალ სააღრიცხვო პოლიტიკას გამოიყენებს წარდგენილ საანგარიშგებო პერიოდთან შესაძლო ყველაზე ადრინდელიდან მოყოლებული. აქედან გამომდინარე, ერთეული ახდენს აქტივების, ვალდებულებებისა და წმინდა აქტივების/კაპიტალის გარკვეული ნაწილის ცვლილების აგრეგირებული ეფექტის იგნორირებას მოცემულ თარიღამდე. სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა ნებადართულია მაშინაც კი, თუ შეუძლებელია პოლიტიკის პერსპექტიულად გამოყენება ნებისმიერი წინა პერიოდისათვის. 55-58-ე პუნქტებში განსაზღვრულია, თუ როდისაა შეუძლებელი ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ერთი ან მეტი წინა პერიოდისათვის.

განმარტებითი შენიშვნები

33. როდესაც სსბასს-ის თავდაპირველი შემოღება: (ა) გავლენას ახდენს მიმდინარე ან რომელიმე წინა საანგარიშგებო პერიოდზე, (ბ) ამგვარ გავლენას მოახდენდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია კორექტირების თანხის განსაზღვრა, ან (გ) გავლენა შეიძლება გავრცელდეს მომავალ საანგარიშგებო პერიოდზე, ერთეულმა განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს:

(ა) სტანდარტის სათაური;

- (ბ) ის ფაქტი, რომ ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში ხორციელდება, მისი გარდამავალი დებულებების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- (გ) სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების ხასიათი;
- (დ) გარდამავალი დებულებების აღწერა, მათი გამოყენების შემთხვევაში;
- (ე) გარდამავალი დებულებები, რომლებმაც გამოყენების შემთხვევაში შესაძლოა გავლენა მოახდინოს მომავალ საანგარიშგებო პერიოდებზე;
- (ვ) შესაძლებლობის ფარგლებში, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისათვის და თითოეული წარდგენილი წინა საანგარიშგებო პერიოდისათვის კორექტირების თანხა, ფინანსური ანგარიშგების გავლენას დაქვემდებარებული ყოველი მუხლისათვის;
- (ზ) შესაძლებლობის ფარგლებში, კორექტირების თანხა წარდგენილ საანგარიშგებო პერიოდებამდე არსებული პერიოდებისათვის; და
- (თ) გარემოებები, რომლებმაც გამოიწვია ისეთი ვითარება, რომ შეუძლებელია 24-ე პუნქტის (ა) ან (ბ) ქვეპუნქტებით განსაზღვრული რეტროსპექტული გამოყენება კონკრეტული წინა საანგარიშგებო პერიოდისათვის, ან წარდგენილ საანგარიშგებო პერიოდებამდე არსებული პერიოდებისათვის და აღწერა იმისა, თუ როგორ და როდიდან გამოიყენება სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება.

ამ განმარტებითი შენიშვნების გამეორება შემდგომი საანგარიშგებო პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებებში საჭირო არ არის.

34. როდესაც სააღრიცხვო პოლიტიკის ნებაყოფლობით ცვლილება:
- (ა) გავლენას ახდენს მიმდინარე ან რომელიმე წინა საანგარიშგებო პერიოდზე, (ბ) ამგვარ ზეგავლენას მოახდენდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია კორექტირების თანხის განსაზღვრა, ან (გ) გავლენა შეიძლება გავრცელდეს მომავალ საანგარიშგებო პერიოდზე, ერთეულმა განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს:
 - (ა) სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ხასიათი;
 - (ბ) მიზეზები, რის გამო იძლევა ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება უფრო საიმედო და შესაბამის ინფორმაციას;

- (გ) შესაძლებლობის ფარგლებში, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისა და თითოეული წარდგენილი წინა საანგარიშგებო პერიოდისათვის კორექტირების თანხა ფინანსური ანგარიშგების გავლენას დაქვემდებარებული ყოველი მუხლისათვის;
- (დ) შესაძლებლობის ფარგლებში, კორექტირების თანხა წარდგენილ საანგარიშგებო პერიოდებამდე არსებული პერიოდებისათვის; და
- (ე) თუ შეუძლებელია რეტროსპექტული გამოყენება კონკრეტული წინა საანგარიშგებო პერიოდისათვის, ან წარდგენილ საანგარიშგებო პერიოდებამდე არსებული პერიოდებისათვის, გარემოებები, რომლებმაც გამოიწვია ასეთი ვითარება და აღწერა იმისა, როგორ და როდიდან გამოიყენება სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება.

ამ განმარტებითი შენიშვნების გამეორება შემდგომი საანგარიშგებო პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებებში საჭირო არ არის.

35. როდესაც ერთეული არ იყენებს ახალ სსბასს-ს, რომელიც გამოცემულია, მაგრამ ძალაში არ არის შესული, ერთეულმა ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში უნდა განმარტოს:

- (ა) ეს ფაქტი; და
- (ბ) ცნობილი ან რაციონალურ შეფასებას დაქვემდებარებული ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ერთეულის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის გამოყენების შესაძლო გავლენის შესაფასებლად იმ პერიოდში, როცა მოხდება მისი თავდაპირველი გამოყენება.

36. 35-ე პუნქტის შესაბამისად, ერთეული განმარტებით შენიშვნებში მიუთითებს:

- (ა) ახალი სსბასს-ის სათაურს;
- (ბ) სააღრიცხვო პოლიტიკაში მოსალოდნელი ცვლილების ან ცვლილებების ხასიათს;
- (გ) თარიღს, რომლისთვისაც მოითხოვება სტანდარტის გამოყენება;
- (დ) თარიღს, რომლისთვისაც იგი გეგმავს სტანდარტის თავდაპირველ გამოყენებას;
- (ე) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთს:

- (i) სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების შედეგად ერთეულის ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსალოდნელი ზეგავლენის განხილვას; ან
- (ii) შედეგების შესახებ განცხადების დაფიქსირებას, თუ ეს ზეგავლენა არ არის ცნობილი ან არ ექვემდებარება გონივრულ შეფასებას.

ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში

37. მომსახურების მიწოდების, სამეწარმეო და სხვა საქმიანობისათვის დამახასიათებელი გარკვეული განუსაზღვრელობისა და ცვალებადობის გამო, შეუძლებელია ფინანსური ანგარიშგების ბევრი მუხლის ზუსტი გაანგარიშება და შესაძლებელი ხდება მათი მხოლოდ მიახლოებითი შეფასება. შეფასების პროცესი გულისხმობს უახლოეს ხელმისაწვდომ და საიმედო ინფორმაციაზე დაფუძნებულ მსჯელობას. მაგალითად, შეფასებები შესაძლოა საჭირო იყოს:
- (ა) სახელმწიფოსათვის გადასახდელი გადასახდელების;
 - (ბ) ამოუღებელი გადასახადებიდან გამომდინარე უიმედო ვალების;
 - (გ) მოძველებული მატერიალური მარაგების;
 - (დ) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების;
 - (ე) ცვეთადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის, ან შესაძლო ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღების სქემის, ან საგზაო მშენებლობის შესრულებული ნაწილის პროცენტული მაჩვენებლის; და
 - (ვ) საგარანტიო ვალდებულებების.
38. რაციონალური სააღრიცხვო შეფასების გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადების მნიშვნელოვანი ნაწილია და მის სანდოობას არ ამცირებს.
39. იმ შემთხვევაში, თუ, გარკვეულწილად, შეიცვლება გარემოებები, რომელთა საფუძველზეც მოხდა შეფასება, ან თავს იჩინეს ახალი ინფორმაცია, ან გაიზრდება გამოცდილება, შესაძლოა საჭირო გახდეს შეფასების გადასინჯვა. თავისი არსით, შეფასების გადასინჯვა არ უკავშირდება წინა საანგარიშგებო პერიოდებს და არ წარმოადგენს შეცდომის გასწორებას.

40. გამოყენებული შეფასების საფუძვლის შეცვლა წარმოადგენს სააღრიცხვო პოლიტიკის და არა სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას. როდესაც ძნელია სააღრიცხვო პოლიტიკასა და სააღრიცხვო შეფასებაში მომხდარი ცვლილების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, ცვლილება განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.
41. სააღრიცხვო შეფასებაში მომხდარი ცვლილების შედეგი, გარდა 42-ე პუნქტით განსაზღვრული ცვლილებისა, პერსპექტიულად აისახება ნამეტში ან დეფიციტში:
- (ა) იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა ცვლილება, თუ ეს ცვლილება ზემოქმედებს მხოლოდ აღნიშნულ საანგარიშგებო პერიოდზე; ან
 - (ბ) იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც მოხდა ცვლილება და შემდგომ პერიოდებში, თუ ეს ცვლილება მომავალ პერიოდებზეც ახდენს გავლენას.
42. სააღრიცხვო შეფასების ცვლილება აღიარდება შესაბამისი აქტივის, ვალდებულების ან წმინდა აქტივების/კაპიტალის მუხლის საბალანსო ღირებულების იმ ოდენობით კორექტირებით, რა ოდენობითაც იგი ცვლილებას იწვევს აქტივებსა და ვალდებულებებში, ან გავლენას ახდენს აქტივების/კაპიტალის მუხლზე იმ პერიოდში, როდესაც ცვლილება მოხდა.
43. სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილების პერსპექტიული აღიარება ნიშნავს, რომ ცვლილება ეხება შეფასების ცვლილების შემდგომი პერიოდის ოპერაციებს, სხვა მოვლენებსა და პირობებს. სააღრიცხვო შეფასების ცვლილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს მხოლოდ მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ნამეტზე ან დეფიციტზე, ან როგორც მიმდინარე, ისე მომავალი საანგარიშგებო პერიოდების ნამეტსა და დეფიციტზე. მაგალითად, უიმედო ვალების შეფასებაში მომხდარი ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ნამეტსა და დეფიციტზე და, ამდენად, მოცემულ პერიოდში აღიარდება. მაგრამ ცვეთადი აქტივების ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის შესაძლო ხასიათის, ან აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასებაში მომხდარი ცვლილებები გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდის ცვეთის ხარჯზე და აქტივების სასარგებლო მომსახურების დარჩენილი ვადის განმავლობაში მიმდინარე ყოველ საანგარიშგებო პერიოდზე. ორივე შემთხვევაში, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდთან დაკავშირებული ცვლილებების შედეგები აღიარდება, როგორც მიმდინარე პერიოდის შემოსავლები ან ხარჯები. მომავალ

საანგარიშგებო პერიოდებზე გავლენა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისად აღიარდება მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში.

განმარტებითი შენიშვნები

44. განმარტებით შენიშვნებში ერთეულმა უნდა ასახოს სააღრიცხვო შეფასებაში მომხდარი ისეთი ცვლილების შინაარსი და მოცულობა, რომელიც გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდზე ან მოსალოდნელია, რომ გავლენას მოახდენს მომავალ საანგარიშგებო პერიოდებზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შეუძლებელია მომავალ საანგარიშგებო პერიოდებზე ამ ცვლილების გავლენის განსაზღვრა.
45. თუ განმარტებით შენიშვნებში არ ხდება მომავალ საანგარიშგებო პერიოდებზე გავლენის მოცულობის ასახვა, რადგან მისი შეფასება შეუძლებელია, ერთეულმა განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს თავად ეს ფაქტი.

შეცდომები

46. შეცდომები შეიძლება დაშვებულ იქნეს ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას, მისი ცალკეული ელემენტის აღიარების, შეფასების ან განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის თანდართვის დროს. ფინანსური ანგარიშგება არ შეესაბამება სსბასს-ებს, თუ შეიცავს არსებით შეცდომებს ან განზრახ დაშვებულ არაარსებით შეცდომებს, რათა მოხდეს ერთეულის ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური შედეგების ან ფულადი სახსრების ნაკადების გარკვეული სახით წარმოჩენა. მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის შესაძლო შეცდომები მანამ უნდა გასწორდეს, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცება. თუმცა, ზოგჯერ არსებითი შეცდომები მხოლოდ მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში გამოვლინდება. წინა პერიოდის ამგვარი შეცდომის გასწორება უნდა განხორციელდეს მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების შესადარის ინფორმაციაში (იხილეთ 47-51-ე პუნქტები).
47. 48-ე პუნქტის შესაბამისად, ერთეულმა რეტროსპექტულად უნდა გაასწოროს წინა საანგარიშგებო პერიოდის არსებითი შეცდომები, გამოსაცემად ნებადართულ პირველივე ფინანსურ ანგარიშგებებში შეცდომების გამოვლინებისთანავე, შემდეგი გზით:
 - (ა) იმ წარდგენილი საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ის შესადარის ინფორმაციის გადაანგარიშებით, რომელშიც დაშვებულ იქნა შეცდომა; ან

- (ბ) წარდგენილი ყველაზე ადრეული საანგარიშგებო პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და წმინდა აქტივების/კაპიტალის საწყისი ნაშთების გადაანგარიშებით, თუ შეცდომა დაშვებულ იქნა ყველაზე ადრეულ წარდგენილ საანგარიშგებო პერიოდამდე.

რეტროსპექტულ გადაანგარიშებასთან დაკავშირებული შეზღუდვები

48. წინა საანგარიშგებო პერიოდის შეცდომა უნდა გასწორდეს რეტროსპექტულად გადაანგარიშების გზით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია კონკრეტულ პერიოდზე მისაკუთვნიებული გავლენის განსაზღვრა ან შეცდომის კუმულაციური გავლენის დადგენა.
49. როდესაც შეუძლებელია შეცდომის კონკრეტულ პერიოდზე მისაკუთვნიებული გავლენის განსაზღვრა ერთი ან მეტი წარდგენილი წინა საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ინფორმაციაზე, ერთეულმა უნდა გადაიანგარიშოს აქტივების, ვალდებულებებისა და წმინდა აქტივების/კაპიტალის საწყისი ნაშთები, პირველივე საანგარიშგებო პერიოდისათვის, რომლის მიმართაც შესაძლებელია რეტროსპექტული გადაანგარიშება (ეს შეიძლება იყოს მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდიც).
50. როდესაც მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში შეუძლებელია შეცდომის კუმულაციური გავლენის განსაზღვრა ყველა წინა საანგარიშგებო პერიოდზე, ერთეულმა უნდა გადაიანგარიშოს შესადარისი ინფორმაცია, რათა პერსპექტიულად გაასწოროს შეცდომა, პრაქტიკულად შესაძლებელი პირველივე თარიღიდან.
51. წინა საანგარიშგებო პერიოდის შეცდომის შესწორების თანხა არ ჩაითვლება იმ პერიოდის ნამეტში ან დეფიციტში, როდესაც აღმოჩენილ იქნა შეცდომა. წინა საანგარიშგებო პერიოდებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის წარსული ფინანსური მონაცემების შეჯამება, უნდა შეიცვალოს წარდგენილი, ყველაზე ადრეული შესაძლებელი პერიოდისათვის.
52. როდესაც შეუძლებელია შეცდომის მოცულობის განსაზღვრა (მაგალითად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში დაშვებული შეცდომა) ყველა წინა საანგარიშგებო პერიოდისათვის, 50-ე პუნქტის შესაბამისად, ერთეული შესადარის ინფორმაციას გადაიანგარიშებს პერსპექტიულად, პრაქტიკულად შესაძლებელი პირველივე თარიღიდან. შესაბამისად, იგი არ ითვალისწინებს ამ თარიღამდე აქტივების, ვალდებულებებისა და წმინდა აქტივების/კაპიტალის აგრეგირებული გადაანგარიშების წილს. 55-58-ე პუნქტებში

განსაზღვრულია, თუ როდის არის შეუძლებელი ერთი ან მეტი წინა საანგარიშგებო პერიოდის შეცდომის გასწორება.

53. შეცდომის გასწორება განსხვავდება სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. სააღრიცხვო შეფასებები, თავისი არსით, მიახლოებითი მნიშვნელობებია, რომელთა გადახედვაც შეიძლება მოხდეს, თუ ცნობილი გახდება დამატებითი ინფორმაცია. მაგალითად, შეცდომის გასწორებას არ წარმოადგენს შემოსულობის ან ზარალის აღიარება, გაუთვალისწინებელი გარემოებების შედეგად.

წინა საანგარიშგებო პერიოდის შეცდომების განმარტებით შენიშვნებში ასახვა

54. 47-ე პუნქტის გამოყენების დროს, ერთეულმა განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს:

- (ა) წინა საანგარიშგებო პერიოდის შეცდომის ხასიათი;
- (ბ) შესაძლებლობის ფარგლებში, თითოეული წინა საანგარიშგებო პერიოდისათვის შესწორების თანხის მოცულობა ფინანსური ანგარიშგების თითოეული შესაბამისი მუხლისათვის; და
- (გ) კორექტირების თანხა წინა წარმოდგენილი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისთვის;
- (დ) გარემოებები, რომლებმაც გამოიწვია ამ პირობის არსებობა, თუ კონკრეტული წინა საანგარიშგებო პერიოდისათვის შეუძლებელია რეტროსპექტული გადაანგარიშება. ამასთანავე, აღწერა იმისა, თუ როგორ და როდიდან მოხდა შეცდომის გასწორება.

საჭირო არ არის ამ განმარტებითი შენიშვნების გამეორება შემდგომი საანგარიშგებო პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებებში.

რეტროსპექტული გამოყენებისა და რეტროსპექტული გადაანგარიშების შეუძლებლობა

55. პერიოდის შესადარისი ინფორმაციის კორექტირება იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდთან შესადარისობა. მაგალითად, შესაძლოა წინა საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ის მონაცემები არ იყოს იმგვარად შეგროვებული, რომ იძლეოდეს ან, ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტული გამოყენების (56-58-ე პუნქტების მიზნებისათვის ამ პოლიტიკის წინა საანგარიშგებო პერიოდებისათვის პერსპექტიულად გამოყენების ჩათვლით), ან წინა საანგარიშგებო პერიოდის შეცდომის გასწორების მიზნით

რეტროსპექტული გადაანგარიშების საშუალებას, ასევე, მოსალოდნელია, შეუძლებელი იყოს ინფორმაციის აღდგენა.

56. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ხშირად აუცილებელი ხდება შეფასების გაკეთება ფინანსური ანგარიშების ისეთი ელემენტების მიმართ, რომელთა აღიარება ან განმარტებით შენიშვნებში ასახვა მოხდა, ოპერაციებთან, სხვა მოვლენებთან თუ პირობებთან დაკავშირებით. თავისი არსით, შეფასება სუბიექტურია და შეიძლება განხორციელდეს საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების შემდეგაც. შეფასების განხორციელება პოტენციურად უფრო რთულია მაშინ, როდესაც ხდება სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტული გამოყენება, ან წინა საანგარიშგებო პერიოდის შეცდომის რეტროსპექტული გადაანგარიშება, რადგან შეიძლება დიდი დრო იყოს გასული განსახილველი ოპერაციის, სხვა მოვლენის ან პირობის მოხდენიდან. აღნიშნულის მიუხედავად, გასულ საანგარიშგებო პერიოდებთან დაკავშირებული შეფასებების მიზანი იგივე რჩება, რაც მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისათვის, სახელდობრ, შეფასებამ უნდა ასახოს გარემოებები, რომლებიც არსებობდა სამეურნეო ოპერაციის, სხვა მოვლენის ან პირობის მოხდენისას.

57. ამიტომ სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტული გამოყენებისას, ან წინა საანგარიშგებო პერიოდის შეცდომის რეტროსპექტული შესწორებისას საჭიროა სხვა ინფორმაციისაგან განვასხვაოთ ინფორმაცია, რომელიც:

(ა) უზრუნველყოფს მტკიცებულებებს იმ გარემოებებზე, რომლებიც არსებობდა ოპერაციის, სხვა მოვლენის ან პირობის მოხდენის დროს; და

(ბ) ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო შესაბამისი წინა საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების დროს

სხვა ინფორმაციიდან. გარკვეული ტიპის შეფასებებისათვის (მაგალითად, სამართლიანი ღირებულების შეფასება, რომელიც არ ეყრდნობა ემპირიულ ფასებს ან ინფორმაციას) შეუძლებელია ამ ტიპის ინფორმაციის ერთმანეთისაგან განსხვავება. როდესაც რეტროსპექტული გამოყენება ან გადაანგარიშება მოითხოვს მნიშვნელოვანი შეფასების გაკეთებას, რომლისთვისაც შეუძლებელია ორივე ტიპის ინფორმაციის ერთმანეთისაგან გამიჯვნა, შეუძლებელია ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტული გამოყენება, ან წინა საანგარიშგებო პერიოდის შეცდომის რეტროსპექტული გასწორება.

58. წინა საანგარიშგებო პერიოდისათვის ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ან თანხების შესწორებისას არ უნდა

იქნეს გამოყენებული რეტროსპექტული ხედვა, იმასთან დაკავშირებით, დასკვნების გამოტანისას, როგორი იქნებოდა ხელმძღვანელობის განზრახვა გასულ საანგარიშგებო პერიოდში, ან გასულ საანგარიშგებო პერიოდში აღიარებული, შეფასებული თუ განმარტებით შენიშვნებში ასახული თანხების შეფასებისას. მაგალითად, როდესაც ერთეული წინა საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში ასწორებს შეცდომას, რომელიც დაკავშირებული იყო სახელმწიფო შენობა-ნაგებობის საინვესტიციო ქონებად კლასიფიცირებასთან (მანამდე შენობა კლასიფიცირდებოდა ძირითად აქტივად), აღნიშნული არ ცვლის შეფასების საფუძველს ამ საანგარიშგებო პერიოდისათვის, თუ ერთეულის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, მომავალში ამ შენობა-ნაგებობის გამოყენება ისე, როგორც მესაკუთრის მიერ დაკავებული საოფისე შენობა. ამას გარდა, როდესაც ერთეული სსბასს 19-ის - *ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი - აქტივები* შესაბამისად ასწორებს წინა საანგარიშგებო პერიოდის შეცდომას, სახელმწიფო ოპერაციების შედეგად დაბინძურებული ადგილის დასუფთავების ხარჯების ვალდებულების დაანგარიშებასთან დაკავშირებით, ის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ ითვალისწინებს ინფორმაციას, საზღვაო ტანკერიდან დიდი ოდენობის ნავთობის დაღვრის შესახებ, ვინაიდან ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდა მოცემული წინა საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცება. ის ფაქტი, რომ ხშირად საჭირო ხდება მნიშვნელობანი შეფასებების არსებობა წინა საანგარიშგებო პერიოდებში წარდგენილ შესადარის ინფორმაციაში შესწორების შეტანისას, ხელს არ უშლის შესადარისი ინფორმაციის კორექტირების ან შესწორების საიმედოობას.

ძალაში შესვლის თარიღი

59. ერთეულმა წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის წინამდებარე სტანდარტის გამოყენება უნდა დაიწყოს 2008 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის. სტანდარტის ვადაზე ადრე გამოყენება რეკომენდებულია. თუ ერთეული წინამდებარე სტანდარტს 2008 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისათვის გამოიყენებს, მან ამის შესახებ უნდა აღნიშნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.
- 59ა. 2010 წლის იანვარში გამოცემული სსბასს-ის გაუმჯობესების შედეგად მოხდა მე-9, მე-11 და მე-14 პუნქტების შესწორება. ერთეულმა წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის ამ

ცვლილებების გამოყენება უნდა დაიწყოს 2011 წლის 1 იანვარს, ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის. სტანდარტის ვადაზე ადრე გამოყენება რეკომენდებულია.

- 59ბ. 60-ე პუნქტი შეიცვალა სსბასს 33-ის, *დარიცხვის მეთოდის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) პირველად გამოყენება, 2015 წლის იანვარში გამოცემის შედეგად*. ერთეულმა უნდა გამოიყენოს ეს ცვლილება წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. ადრეული გამოყენება ნებადართულია. თუ ერთეული იყენებს სსბასს 33-ს 2017 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, ამ ადრინდელი პერიოდისთვის ასევე უნდა იქნას გამოყენებული აღნიშნული ცვლილება.
- 59გ. შეიცვალა მე-7, მე-10, მე-12, მე-14, მე-15, მე-17 და 34-ე პუნქტები, ხოლო მე-13 პუნქტი ამოღებულია *2015 წლის სსბასს-ების გაუმჯობესების 2016 წლის აპრილში გამოცემის შედეგად*. ერთეულმა უნდა გამოიყენოს ეს ცვლილებები წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. ადრეული გამოყენება რეკომენდებულია. თუ ერთეული იყენებს ცვლილებებს 2017 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან უნდა გაამყდავოს აღნიშნული ფაქტი.
- 59დ. მე-5 და მე-6 პუნქტები ამოღებულია 2016 წლის აპრილში *სსბასს-ების გამოყენების გამოცემის შედეგად*. ერთეულმა უნდა გამოიყენოს აღნიშნული ცვლილებები წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. ადრეული გამოყენება რეკომენდებულია. თუ ერთეული ცვლილებებს გამოიყენებს 2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან უნდა გაამყდავოს აღნიშნული ფაქტი.
60. როდესაც ერთეული ნერგავს დარიცხვის მეთოდის სსბასს-ებს, როგორც ეს განსაზღვრულია სსბასს 33-ში, *დარიცხვის მეთოდის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) პირველად გამოყენება*, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, ძალაში შესვლის თარიღისათვის, წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება ერთეულის წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, რომელიც მოიცავს პერიოდებს, დაწყებულს სსბასს-ების დანერგვის თარიღიდან ან მის შემდეგ.

სსბასს 3-ის (2000) გაუქმება

61. წინამდებარე სტანდარტი ჩაანაცვლებს 2000 წელს გამოცემულ სსბასს 3-ს - საანგარიშგებო პერიოდის წმინდა ნამეტი ან დეფიციტი, არსებითი შეცდომები და ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში.

დანართი

სხვა სსბასს-ების შესწორებები

[ამოღებულია]

დასკვნის საფუძველი

წინამდებარე დასკვნის საფუძველი თან ერთვის, მაგრამ არ არის სსბასს 3-ის შემადგენელი ნაწილი.

სსბასს 3-ის შესწორება ბასს-ის გენერალური გაუმჯობესების პროექტის შედეგად

შესავალი

დს1. სსბასს-ის ფასს-თან დაახლოების პროგრამა სსბასს-ის სამუშაო პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია. სსბასს-ის პოლიტიკას წარმოადგენს სსბასს-ებისა და ბასს-ის მიერ გამოცემული ფასს-ების ბულალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდის შესაბამისობაში მოყვანა საჯარო სექტორის ერთეულებისათვის.

დს2. ფასს-ებთან თანხვედრაში მოყვანილი სსბასს-ების დარიცხვის მეთოდში შენარჩუნებულია ფასს-ების მოთხოვნები, სტრუქტურა და ტექსტი, გარდა იმ გამონაკლისებისა, როდესაც, საჯარო სექტორისათვის დამახასიათებელი სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელია გადახვევა. შესაბამისი ფასს-იდან გადახვევა მაშინ ხდება, როდესაც ფასს-ის ტერმინოლოგია ან მოთხოვნები შეუსაბამოა საჯარო სექტორისათვის, ან საჯარო სექტორის კონტექსტში გარკვეული მოთხოვნების საილუსტრაციოდ აუცილებელია დამატებითი შენიშვნების ან მაგალითების დართვა. სსბასს-ებსა და მათ შესაბამის ფასს-ებს შორის განსხვავებები მოცემულია ყოველი სსბასს-ის ბოლოს დართულ ფასს-თან შედარებაში. ბასს 8-თან შედარება ეფუძნება ბასს 8-ის 2003 წლის დეკემბრის ვერსიას და არა რომელიმე სხვას.

დს3. 2002 წლის მაისში ბასსს-მა გენერალური გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში გამოაქვეყნა ცვლილებების პროექტი 13 ბასს-ისათვის¹. ბასსს-ის გენერალური გაუმჯობესების პროექტი მიზნად ისახავდა "სტანდარტებში არსებული ალტერნატიული ინტერპრეტაციების, გამეორებებისა და წინააღმდეგობების შემცირებას ან სრულად აღმოფხვრას, ასევე თანხვედრის საკითხების განხილვასა და სხვა ასპექტების

¹ ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს-ები) გამოიცა ბასს-ების წინამორბედის - ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ. ბასსს-ის მიერ გამოცემულ სტანდარტებს ეწოდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასსს-ები). ბასსს-ის თანახმად, ფასსს-ები შედგება ფასსს-ების, ბასსს-ების და სტანდარტების ინტერპრეტაციებისაგან. ზოგიერთ შემთხვევაში, ჩანაცვლების ნაცვლად, ბასსს-მა შეასწორა ბასსს-ები, რა შემთხვევაშიც, უცვლელი რჩება ძველი ბასსს-ის ნომერი.

გაუმჯობესებას”. ბასს-ების საბოლოო ვერსიები 2003 წლის დეკემბერში გამოიცა.

დს4. 2000 წლის იანვარში გამოცემული სსბასს 3 ეფუძნებოდა ბასს 8-ს - *საანგარიშგებო პერიოდის წმინდა ნამეტი ან დეფიციტი, არსებითი შეცდომები და ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში* - (შესწორებულ იქნა 1993 წელს), რომელიც 2003 წლის დეკემბერში თავიდან იქნა გამოცემული ბასს 8-ის სახით - *სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები*. მოგვიანებით, 2003 წელს, სსბასსს-ის წინამორბედმა, საჯარო სექტორის კომიტეტმა (სსკ)² მოახდინა სსბასს-ის გაუმჯობესების პროექტის ინიცირება, რომლის მიზანი იყო, აუცილებლობის ფარგლებში, 2003 წლის დეკემბერში გამოცემულ, შესწორებულ ბასს-ებთან სსბასს-ების თანხვედრაში მოყვანა.

დს5. სსბასსს-მა განიხილა გაუმჯობესებული ბასს 8 და, ძირითადად, დაეთანხმა ბასსს-ის მიერ ბასს-ის შესწორების საფუძვლებსა და ცვლილებებს (აქ გადმოცემული არ არის ბასსს-ის დასკვნების საფუძველი. ბასსს-ის *ყოველმხრივი სააბონენტო მომსახურების ხელმძღვრებს* შეუძლიათ დასკვნების საფუძვლებს გაეცნონ ბასსს-ის შემდეგ ვებგვერდზე <http://www.iasb.org>). საჯარო სექტორისათვის დამახასიათებელი სპეციფიკის გამო, დასკვნების საფუძველში განხილული და ახსნილია სსბასს-ის მიერ შესაბამის ბასს-იდან გადახვევის მიზეზები.

დს6. სსბასს 3-ში მოცემული არ არის 2003 წლის დეკემბრის შემდეგ გამოცემული ფასს-ების შედეგად გამოწვეული შესწორებები, რადგან სსბასსს-ს ჯერჯერობით არ განუხილავს და ჩამოუყალიბებია საკუთარი მოსაზრება, ამ ფასს-ების მოთხოვნების საჯარო სექტორის ერთეულებზე გავრცელებასთან დაკავშირებით.

სსბასს 3-ის შესწორება 2008 წელს ბასსს-ის მიერ გამოცემული ფასს-ების გაუმჯობესების შედეგად

დს7. სსბასსს-მა განიხილა 2008 წლის მაისში ბასსს-ის მიერ გამოცემული *ფასს-ების გაუმჯობესებები* და, ძირითადად,

² სსკ გარდაიქმნა სსბასსს-დ 2004 წლის ნოემბერში, როდესაც ბსფ-ს საბჭომ შეცვალა სსკ-ს მანდატი და იგი სტანდარტების შემომღებ დამოუკიდებელ საბჭოდ გარდაქმნა.

დაეთანხმა სტანდარტის შესწორების ბასსს-ისეულ მიზეზებს. სსბასსს-მა დაასკვნა, რომ არ არსებობდა საჯარო სექტორისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მიზეზები ამ ცვლილებების გაუთვალისწინებლობისათვის.

სსბასს 3-ის გადახედვა, საჯარო სექტორის ერთეულების მიერ ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების გამოქვეყნების შედეგად (2015 წელს სსბასსს-ების გაუმჯობესება)

დს8. საჯარო სექტორის ერთეულების მიერ ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების გამოქვეყნების შემდეგ, სსბასსს-მ წამოიწყო შეზღუდული მასშტაბის პროექტი, რათა სსბასსს-ებში განხორციელებულიყო ცვლილებები პირველი ოთხი თავის ასახვის მიზნით. ეს თავები ეხება როლს და უფლებამოსილებას, მიზნებს და მომხმარებლებს, ხარისხობრივ მახასიათებლებს (ხმ), ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინფორმაციის შეზღუდვებს და ანგარიშვალდებულ ერთეულს. სსბასსსს-მ წარმოადგინა ეს ცვლილებები გპ 58- ში, *სსბასსს-ების გაუმჯობესება 2015*.

დს9. სსბასს 3-ის მე-12 პუნქტი ითვალისწინებს პირველი დონის მოთხოვნას სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისთვის, როდესაც არ არსებობს სსბასს, რომელიც სპეციალურად ეხება ოპერაციას, სხვა მოვლენას თუ პირობას. სსბასს 1-ის 2006 წლის ვერსიაში მითითებულია, რომ ხელმძღვანელობამ უნდა იმსჯელოს, რათა შეიმუშაოს და გამოიყენოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზე მიიღება ინფორმაცია, რომელიც სათანადო და საიმედოა. სსბასსსს-მ გადაწყვიტა, რომ საიმედოობის მითითება შეეცვალა სამართლიანი წარდგენით, კონცეპტუალურ საფუძვლებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. სსბასსსს-მ თავისი გადაწყვეტილების შესაბამისად არ განესხვაგებინა ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლები იმ ხარისხობრივი მახასიათებლებისაგან, რომლებიც ამაღლებს ინფორმაციის სარგებლიანობას (ხმ), გადაწყვიტა ეღიარებინა სხვა ხმ-ები და ზოგადი დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ ინფორმაციაზე შეზღუდვები, რომლებიც ასახულია მე-12 პუნქტში. გპ 58-ის რესპონდენტმა მიიჩნია, რომ სსბასსს-ები უნდა შეიცვალოს ისე, რომ მიეთითოს ხმ-ების და შეზღუდვების სრული კომპლექტი. კონცეპტუალურ საფუძვლებში ნათქვამია, რომ თითოეული ხმ-ი სხვა ხმ-ების შემადგენელი ნაწილია და მუშაობს სხვა ხმ-ებთან იმისათვის, რომ ზოგადი დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებებში

მიაწოდონ ინფორმაცია, რაც სასარგებლოა ფინანსური ანგარიშგების მიზნების მისაღწევად. ამასთან, ეს ურთიერთქმედება არ გამოორიცხავს ცალკეულ ხმ-ებს, რომელთაც აქვთ მეტი ან ნაკლები მნიშვნელობა, რომლებიც დამოკიდებულნი არიან კონკრეტულ გარემოებებზე და ამიტომ სსბასსს-მ დაასკვნა, რომ არ უნდა იყოს მითითებული ყველა ხმ-სა და შეზღუდვაზე, ყოველ ჯერზე, როდესაც ერთი ან მეტი ხმ-ი მითითებულია.

დს10. სსბასს 3- ში ასევე ჩამოთვლილია საიმედოობის მრავალი მახასიათებელი, მათ შორის ეკონომიკური შინაარსის, ნეიტრალურობის, წინდახედულების და სისრულის. სსბასსს-მ განიხილა ეს მახასიათებლები ნათლად უნდა ყოფილიყო ნათქვამი თუ არა შესწორებულ სსბასს 3-ში. სსბასსს აღიარებს ამ მახასიათებლების მნიშვნელობას, მაგრამ შენიშნა, რომ მაშინ როდესაც ისინი კონკრეტულად მოხსენიებული და განმარტებულია სსბასს 1-ის დანართ „ა“ში, ისინი კონკრეტულად არ არის განსაზღვრული როგორც ხმ-ები კონცეპტუალურ საფუძვლებში.

დს11. კონცეპტუალური საფუძვლები განმარტავს, რომ „სამართლიანი წარდგენა მიიღწევა, როდესაც მოვლენის აღწერა არის სრული, ნეიტრალური და არ შეიცავს არსებით შეცდომას“ და დამატებით, რომ „ინფორმაცია, რომელიც სამართლიანად წარადგენს ეკონომიკურ ან სხვა მოვლენას, აღწერს საბაზისო ოპერაციის, სხვა მოვლენის, საქმიანობის ან ვითარების არსს - რაც ყოველთვის არ არის იგივე, რაც მისი სამართლებრივი ფორმა“. ამგვარად, შინაარსის ფორმაზე აღმატებულობა კვლავ რჩება ძირითად მახასიათებლად, რომელსაც უნდა ფლობდეს ზოგადი დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია. ის მიჩნეული არ არის ცალკე ან დამატებით ხარისხობრივ მაჩვენებლად, რადგან ის უკვე ჩართულია სამართლიანი წარდგენის კონცეფციაში.

დს12. სსბასსს-ს აზრით, წინდახედულების კონცეფციაც არის ასახული ნეიტრალურობის ახსნაში, როგორც სამართლიანი წარდგენის კომპონენტი და აღიარებულია განუსაზღვრელობასთან დაკავშირებით სიფრთხილის გამოყენება. შესაბამისად, სსბასსს-მ დაასკვნა, რომ არ არის საჭირო მე-12 პუნქტში ცალკე მითითება ეკონომიკური შინაარსის, ნეიტრალურობის, წინდახედულების და სისრულის შესახებ.

დს13. მე -14 პუნქტში მოცემულია წყაროები, რომელსაც ხელმძღვანელობამ უნდა მიმართოს და განიხილოს მისი გამოყენების შესაძლებლობა სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისთვის, როდესაც არ არსებობს სსბასს, რომელიც

სპეციალურად ეხება ოპერაციას, სხვა მოვლენას თუ პირობას. სსბასსს-მ განიხილა, ხელმძღვანელობას უნდა მიემართა თუ არა სხვა სსბასს-ებში ან კონცეპტუალურ საფუძვლებში აღწერილ აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებისთვის, აღიარების და შეფასების კრიტერიუმებისათვის. სსბასსს-მ დაადასტურა, რომ სსბასს-ები ჯერ არ განახლებულა, რათა ასახავდეს კონცეპტუალური საფუძვლების განმარტებებს, აღიარების და შეფასების კრიტერიუმებს. ამასთან, კონცეპტუალური საფუძვლები ასახავს სსბასსს-ს ყველაზე თანამედროვე ნააზრევს და სსბასსს-მ დაასკვნა, რომ ხელმძღვანელობა ორიენტირებული უნდა იყოს ამ წყაროზე.

დს14. მე -15 პუნქტი საშუალებას იძლევა მხედველობაში იქნეს მიღებული სხვა სტანდარტების შემმუშავებელი ორგანოების უახლესი გამოცემები, რამდენადაც ისინი არ ეწინააღმდეგება სსბასსს-ების მიერ მოყვანილ წყაროებს, სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისა და გამოყენების შესახებ მსჯელობაში. სსბასსს-მ განიხილა, უნდა შეენარჩუნებინა თუ არა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) გამოცემების მაგალითები. იმის აღნიშვნით, რომ იმ დროისთვის დასრულებული არ იყო ბასსს-ის კონცეპტუალური საფუძვლების გადახედვა, სსბასსს-მ გამოთქვა მოსაზრება, რომ არსებობს განსხვავებები სსბასსს-ის კონცეპტუალურ საფუძვლებსა და ბასსს-ს კონცეპტუალური საფუძვლების გადახედვის პროექტს შორის. შესაბამისად, ბასსს-ს კონცეპტუალურ საფუძვლებზე დაფუძნებული სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება და გამოყენება შეიძლება ყოველთვის არ იყოს მიზანშეწონილი საჯარო სექტორში. საპასუხოდ გპ 58-ის რესპონდენტის კომენტარებზე, სსბასსს-მ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სსბასსს-ს კონცეპტუალური საფუძვლები არ არის დამოკიდებული ბასსს-ს კონცეპტუალურ საფუძვლებზე. სსბასსს თვლიდა, რომ ბასსს გამოცემების სხვა მაგალითები, რომლებიც მოცემულია მე-15 პუნქტში — ფასს-ები და ბასსს-ს ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (ფაისკ) ან ყოფილი ინტერპრეტაციების მუდმივმოქმედი კომიტეტის (იმკ) ინტერპრეტაციები, სასარგებლოა და უნდა იყოს შენარჩუნებული.

სსბასსს 3-ის გადახედვა 2016 წლის აპრილში სსბასსს-ს მიერ გამოცემული სსბასსს-ების გამოყენების შედეგად

დს.15 სსბასსს-მ 2016 წლის აპრილში გამოსცა *სსბასსს-ების გამოყენება*. ამ დოკუმენტით, ყველა სსბასსს-ში იქნა ცვლილებები

შეტანილი შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- (ა) თითოეული სტანდარტის მოქმედების სფეროდან ამოღებულია სტანდარტული პუნქტები სსბასს-ების „საჯარო სექტორის ერთეულებისთვის, გარდა სახელმწიფო კომერციული საწარმოებისა (სკს)“ გამოყენების შესახებ;
- (ბ) ტერმინი „სკს“ შეცვლილია ტერმინით „საჯარო სექტორის კომერციული ერთეული“, საჭიროების შემთხვევაში; და
- (გ) ცვლილებები იქნა შეტანილი *საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების წინასიტყვაობის* მე-10 პუნქტში, იმ საჯარო სექტორის ერთეულების პოზიტიური აღწერით, რომლისთვისაც არის განკუთვნილი სსბასს-ები.

ამ ცვლილებების მიზეზები განხილულია სსბასს 1-ის დასკვნის საფუძველში.

მითითებები დანერგვაზე

სახელმძღვანელო მითითებები დაერთვის სსბასს 3-ს, მაგრამ არ არის მისი შემადგენელი ნაწილი.

შეცდომების ხელახალი რეტროსპექტული ფორმულირება

- მდ1. 20X2 წლის განმავლობაში ერთეულმა აღმოაჩინა, რომ მოგების გადასახადის სახით მიღებული ამონაგები არასწორი იყო. 6,500 ფე-ს³ ოდენობის მოგების გადასახადი, რომელიც 20X1 წელს უნდა ყოფილიყო აღიარებული, შეცდომით გამოტოვებული იყო 20X1 წელს და შემოსავლად იყო აღიარებული 20X1 წელს.
- მდ2. ერთეულის 20X1 წლის ბუღალტრულ ჩანაწერებში მითითებული იყო 60,000 ფე-ს შემოსავალი (იმ 6,500 ფე-ს დაბეგვრის ჩათვლით, რომელიც აღიარებული უნდა ყოფილიყო საწყის ნაშთებში) და 86,500 ფე-ს ხარჯები.
- მდ3. 20X1 წელს ერთეულის ანგარიშგებაში მითითებული იყო:

³ ქვემოთ მოცემულ მაგალითებში ფულადი თანხები აღინიშნება "ფულადი ერთეულებით" (ფე)

	ფე
საგადასახადო შემოსავლები	34,000
მომხმარებლის მოსაკრებლები	3,000
სხვა საოპერაციო შემოსავლები	30,000
სულ შემოსავლები	<u>67,000</u>
ხარჯები	<u>(60,000)</u>
ნამეტი	<u><u>7,000</u></u>

მდ4. 20X1 წელს საწყისი დაგროვილი ნამეტი იყო 20,000 ფე, ხოლო საბოლოო დაგროვილი ნამეტი - 27,000 ფე.

მდ5. ერთეულს არ ჰქონია სხვა შემოსავლები ან ხარჯები.

მდ6. ერთეულის სააქციო კაპიტალი ამ პერიოდში 5,000 ფე-ს შეადგენდა და მას არ გააჩნდა წმინდა აქტივების/კაპიტალის სხვა კომპონენტები, გარდა დაგროვილი ნამეტისა.

საჯარო სექტორის ერთეულის ფინანსური შედეგების ანგარიშგება

	(გადაანგარიშებული)	
	20X2	20X1
	ფე	ფე
საგადასახადო შემოსავლები	53,500	40,500
მომხმარებლის მოსაკრებლები	4,000	3,000
სხვა საოპერაციო შემოსავლები	40,000	30,000
სულ შემოსავლები	<u>97,500</u>	<u>73,500</u>
ხარჯები	<u>(86,500)</u>	<u>(60,000)</u>
ნამეტი	<u><u>11,000</u></u>	<u><u>13,500</u></u>

საჯარო სექტორის ერთეულის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ნამეტი	სულ
	ფე	CU	CU
ნაშთი 20X0 წლის 31 დეკემბერს	5,000	20,000	15,000
20X1 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ნამეტი, გადაანგარიშებული	-	13,500	13,500

ნაშთი 20X1 წლის 31 დეკემბერს	5,000	33,500	38,500
20X2 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ნამეტი	–	11,000	11,000
ნაშთი 20X2 წლის 31 დეკემბერს	5,000	44,500	49,500

ამონარიდები ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებიდან

1. 6,500 ფე-ს შემოსავლები დაბეგვრიდან შეცდომით იყო გამოტოვებული 20X1 წლის ფინანსურ ანგარიშგებებში. აღნიშნული შეცდომის გასასწორებლად გადაანგარიშებულ იქნა 20X1 წლის ფინანსური ანგარიშგებები. ამ ფინანსური ანგარიშგებების გადაანგარიშების შედეგები/გავლენა შეჯამებულია ქვემოთ. აღნიშნულმა გავლენა არ მოახდინა 20X2 წელზე.

	გავლენა 20X1 წელ ზე
გაზრდილი შემოსავალი	ფე 6,500
გაზრდილი ნამეტი	6,500
გაზრდილი დებიტორები	6,500
გაზრდილი წმინდა აქტივები/კაპიტალი	6,500

სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა რეტროსპექტული გამოყენებით

მდ7. 20X2 წლის განმავლობაში ერთეულმა შეცვალა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯების სააღრიცხვო პოლიტიკა, რაც პირდაპირ უკავშირდებოდა მშენებარე ჰიდროელექტროსადგურის შექმნას. წინა საანგარიშგებო პერიოდებში ერთეულმა მოახდინა ამგვარი ხარჯების კაპიტალიზაცია. ერთეულმა ახლა გადაწყვიტა, მოახდინოს მათი ხარჯებად აღიარება და არა კაპიტალიზაცია. ხელმძღვანელობის აზრით, ახალი პოლიტიკა უფრო შესაბამისია, ვინაიდან მის გამოყენებას შედეგად მოჰყვება ფინანსური ხარჯების უფრო გამჭვირვალე ასახვა და შეესაბამება ადგილობრივ სამრეწველო პრაქტიკას, ერთეულის ფინანსური ანგარიშგებები უფრო შესადაარისი გახადოს.

მდ8. ერთეულმა მოახდინა 20X1 წელს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული 2,600 ფე-ს ოდენობის, ხოლო 20X1 წლამდე პერიოდებში 5,200 ფე-ს ოდენობის ხარჯების კაპიტალიზაცია. წინა წლების განმავლობაში ელექტროსადგურის შექმნის გამო,

მოხდა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის კაპიტალიზაცია.

მდ9. 20X2 წლის ბუღალტრულ ჩანაწერებში ნაჩვენებია 30,000 ფე-ს ოდენობის ნამეტი და 3,000 ფე-ს საპროცენტო ხარჯი (რომელიც მხოლოდ 20X2 წელს უკავშირდება).

მდ10. ერთეულს არ უჩვენებია ელექტროსადგურის არანაირი ცვეთა, რადგან ის ექსპლუატაციაში ჯერ არ არის შესული.

მდ11. 20X1 წელს ერთეულის ანგარიშგებაში მითითებული იყო:

პროცენტამდე ნამეტი	ფე
საპროცენტო ხარჯი	18,000
ნამეტი	-
	<u>18,000</u>

მდ12. 20X1 წელს საწყისი დაგროვილი ნამეტი იყო 20,000 ფე, ხოლო საბოლოო დაგროვილი ნამეტი - 38,000 ფე.

მდ13. ერთეულის სააქციო კაპიტალი ამ პერიოდში 10,000 ფე-ს შეადგენდა და მას არ გააჩნდა წმინდა აქტივების/კაპიტალის სხვა კომპონენტები, გარდა დაგროვილი ნამეტისა.

საჯარო სექტორის ერთეულის ფინანსური შედეგების ანგარიშგება

	(გადაანგარიშებული)	
	20X2	20X1
	ფე	ფე
პროცენტამდე ნამეტი	30,000	18,000
საპროცენტო ხარჯი	(3,000)	(2,600)
ნამეტი	<u>27,000</u>	<u>15,400</u>

საჯარო სექტორის ერთეულის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	(გადაანგარიშებული)		
	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ნამეტი	სულ
	ფე	ფე	ფე
ნაშთი 20X0 წლის 31 დეკემბერს წინა ანგარიშგების შესაბამისად	10,000	20,000	30,000
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება პროცენტის	-	(5,200)	(5,200)

	(გადაანგარიშებული)		სულ
	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ნამეტი	
კაპიტალიზაციასთან დაკავშირებით (შენიშვნა 1)			
20X0 წლის 31 დეკემბერს დასრულებული ნაშთი (გადაანგარიშებული)	10,000	14,800	24,800
20X0 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ნამეტი (გადაანგარიშებული)	-	15,400	15,400
ნაშთი 20X1 წლის 31 დეკემბერს	10,000	30,200	40,200
20X2 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ნამეტი	-	27,000	27,000
20X2 წლის 31 დეკემბერის საბოლოო ნაშთი	10,000	57,200	67,200

ამონარიდები ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებიდან

- 20X2 წლის განმავლობაში ერთეულმა შეცვალა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯების სააღრიცხვო პოლიტიკა, რაც უკავშირდებოდა მშენებარე ჰიდროელექტროსადგურის შექმნას. წინა საანგარიშგებო პერიოდებში ერთეული ახდენდა ამგვარი ხარჯების კაპიტალიზაციას. ახლა ისინი ხარჯებად აღიარდება გაწვევისთანავე. ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული პოლიტიკა იძლევა უფრო სანდო და შესაბამის ინფორმაციას, ვინაიდან მის გამოყენებას შედეგად მოჰყვება ფინანსური ხარჯების უფრო გამჭვირვალე ასახვა და შეესაბამება ადგილობრივ სამრეწველო პრაქტიკას, ერთეულის ფინანსური ანგარიშგებები უფრო შესაძარისი გახადოს. სააღრიცხვო პოლიტიკის აღნიშნული ცვლილება გამოყენებულ იქნა რეტროსპექტულად და მოხდა 20X1 წლის შესაძარისი ანგარიშგებების გადაანგარიშება. აღნიშნული ცვლილების გავლენა 20X1 წელზე მოცემულია ქვემოთ. 20X1 წლის საწყისი დაგროვილი ნამეტი შემცირდა 5,200 ფე-ით, რაც წარმოადგენს 20X1 წლამდე საანგარიშგებო პერიოდებში განხორციელებული კორექტირებების თანხას.

გავლენა 20-1 წელზე	ფე
(გაზრდილი) საპროცენტო ხარჯი	(2,600)
(შემცირებული) ნამეტი	(2,600)

გავლენა 20-1 წელზე ადრინდელ საანგარიშგებო პერიოდებზე

(შემცირებული) ნამეტი (5,200)

(შემცირებული) აქტივები მშენებლობის პროცესში და დაგროვილი ნამეტი (7,800)

სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა პერსპექტიული გამოყენებით, როდესაც რეტროსპექტიული გამოყენება შეუძლებელია

მდ14. 20X2 წლის განმავლობაში ერთეულმა შეცვალა ძირითადი საშუალებების ცვეთასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა, რათა უფრო სრულად გამოეყენებინა კომპონენტების კატეგორიებად დაყოფის მიდგომა და, ამავდროულად, შემოეღო გადაფასების მოდელი.

მდ15. 20X2 წლამდე ერთეულის აქტივების აღრიცხვა საკმარისად დეტალური არ იყო კლასებად დაყოფის მიდგომის სრულად გამოყენებისათვის. 20X1 წლის ბოლოს, ერთეულის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ჩატარდა საინჟინრო გამოკვლევა, რათა მოწოდებული ყოფილიყო ინფორმაცია, არსებული კომპონენტებისა და მათი სამართლიანი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულებების სააღრიცხვო შეფასებებისა და ცვეთის თანხების შესახებ, 20X2 წლის დასაწყისში. თუმცა, გამოკვლევამ ვერ უზრუნველყო საკმარისი საფუძვლის შექმნა იმ კომპონენტების ღირებულების საიმედოდ შეფასებისათვის, რომელთა აღრიცხვაც ამ დრომდე განცალკევებულად არ ხდებოდა, ხოლო გამოკვლევამდე არსებული ჩანაწერები არ იძლევა ამგვარი ინფორმაციის აღდგენის საშუალებას.

მდ16. ხელმძღვანელობამ განიხილა აღნიშნული სააღრიცხვო ცვლილების ორივე ასპექტი და გადაწყვიტა, რომ შესაძლებელი არ იყო ამ ცვლილების რეტროსპექტიულად სრულად ასახვა კომპონენტების მიმართ, ან ცვლილების ასახვა პერსპექტიულად 20X2 წლის დაწყებამდე. ამასთან, თვითღირებულების მოდელიდან აქტივების გადაფასების მოდელზე გადასვლა მოითხოვს პერსპექტიულ ასახვას. ამიტომ ერთეულის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა 20X2 წლის დასაწყისიდან პერსპექტიულად ყოფილიყო გამოყენებული.

მდ17. დამატებითი ინფორმაცია:

	ფი
ძირითადი აქტივები	
თვითღირებულება	25,000
ცვეთა	(14,000)
ნეტო საბალანსო ღირებულება	<u>11,000</u>
ცვეთის ხარჯი პერსპექტიული დარიცხვის შედეგად 20X2 წლისათვის (ძვ. საფუძველი)	1,500
საინჟინრო კვლევის ზოგიერთი შედეგი:	
შეფასება	17,000
წინასწარშეფასებული ნარჩენი ღირებულება	3,000
აქტივის სასარგებლო მომსახურების დარჩენილი საშუალო ვადა (წლები)	7
არსებული ძირითადი აქტივების ცვეთის ხარჯი 20X2 წლისათვის (ახალი საფუძველი)	2,000

ამონარიდები ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებიდან

- 20X2 წლის დასაწყისიდან ერთეულმა შეცვალა ძირითადი აქტივების სააღრიცხვო პოლიტიკა, რათა უფრო სრულად გამოეყენებინა კომპონენტების კატეგორიებად დაყოფის მიდგომა და, ამავდროულად, შემოეღო გადაფასების მოდელი. ხელმძღვანელობის მოსაზრებით, ამგვარი პოლიტიკა უზრუნველყოფს საიმედო და უფრო შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას, რადგან მისი საშუალებით უფრო ზუსტად აღირიცხება ძირითადი აქტივების კომპონენტები და ეყრდნობა განახლებულ ღირებულებებს. პოლიტიკა პერსპექტიულად იქნა გამოყენებული 20X2 წლის დასაწყისიდან, რადგან შეუძლებელი იყო პოლიტიკის გამოყენების გავლენის შეფასება რეტროსპექტულად ან პერსპექტიულად უფრო ადრეული თარიღიდან. შესაბამისად, ახალი პოლიტიკის შემოღებას წინა წლებზე გავლენა არ მოუხდენია. მიმდინარე წელზე გავლენა გამოიხატებოდა: ა) ძირითადი აქტივების საბალანსო ღირებულების 6,000 ფე-ით გაზრდაში, წლის დასაწყისში, ბ) აქტივის გადაფასების რეზერვის შექმნაში წლის დასაწყისში 6,000 ფე-ს ოდენობით და გ) ცვეთის ხარჯის 5,000 ფე-ს ოდენობით გაზრდაში.

ბასს 8-სთან შედარება

სსბასს 3, სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები, ძირითადად, ეფუძნება ბასს 8-ს - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები - (2003) და მოიცავს 2008 წლის მაისში გამოცემული ფასს-ების გაუმჯობესებების ფარგლებში ბასს 8-ის შესწორებებს. სსბასს 3-სა და ბასს 8-ს შორის შემდეგი ძირითადი განსხვავებებია:

- სსბასს 3-ში, ზოგიერთ შემთხვევაში გამოყენებულია ბასს 8-საგან განსხვავებული ტერმინოლოგია. ყველაზე მნიშვნელოვან განსხვავებას წარმოადგენს სსბასს 3-ში ტერმინების: „ფინანსური შედეგების ანგარიშგება“, „დაგროვილი ნამეტი ან დეფიციტი“ და „წმინდა აქტივები/კაპიტალი“ გამოყენება. ბასს 8-ში გამოიყენება აღნიშნულის ანალოგიური შემდეგი ტერმინები: „მოგებისა და ზარალის ანგარიშგება“, „დაგროვილი მოგება“ და „საკუთარი კაპიტალი“.
- სსბასს 3-ში არ არის გამოყენებული ტერმინი „ამონაგები“, რომელსაც ბასს 8-ში უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე „შემოსავლებს“.
- სსბასს 3 მოიცავს ბასს 8-ის ტექნიკური ტერმინოლოგიის განმარტებების სხვა პაკეტს (პუნქტი 7).
- სსბასს 3-ში მოცემულია ბასს 8-ის მსგავსი წესები.
- სსბასს 3-ის თანახმად, აუცილებელი არ არის აქციაზე საბაზისო შემოსავლის, ან ერთ აქციაზე გაზავებული შემოსავლის კორექტირების განმარტებით შენიშვნებში ასახვა. ბასს 8-ის თანახმად, სავალდებულოა აქციაზე საბაზისო შემოსავლის, ან ერთ აქციაზე გაზავებული შემოსავლის კორექტირების განმარტებით შენიშვნებში ასახვა.